ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეშვიდე.

№ 2. იანვარი 1915 წ.

Коллекция Ник. Федосова Грузинов

შინაარსი:

დ. გორთამაშვილი. თეთრი აკაცია 3

ა. დარეჯანაშვილი. შინაური ფრინველების ავადმყოფობა და მისი წამლობა 4

მეურნე . . . . ნაცად საქმიანობიდან 6

დ. გორთამაშვილი. უმთავრესი ნაკლი ქართლის ბაღებისა . . . 8

ევგ. დალაქიშვილი. ცოტა რამ მეფუტკრის დღიურიდან 10

მინდვრის თაგვთან ბრძოლა 11

ი. ქურდიანი . . . . . საერობო აგრონომების მოქმედება გორის მაზრაში 12

ამხანაგი . . . . კოოპერატივების ცხოვრებიდან 14

ქრონიკა 14

განცხადებანი 16

ჟურნალი წელიწადში ღირს—2 მანეთი. მისამართი: Тифлисъ, Барятинская, 5.

ტფილისი, 1915 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

წლიწადში ჟურნალი ღირს. . . . . .2 მან.
ცალკე ნომერი .5 კაპ.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დაუბრუნებლად.

თასი განცხადების დასაბეჭდი მორიგებით.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და ტელეგრამებისათვის:

Тифлисъ, „Мосавали“, Барятинская, 5.

რედაქტორი **ვ. ი. რცხილაძე.**

სოფელ ტყვიავში
ნიკო კეცხოველის სანერგეში

არის გასასყიდი თამამი და საუკეთესო საკონსერვო ჯიშის

ატმის ნამყენები

(„მოლოზნა“-დ წოდებული)

ასი ძირი—ორი თუმანი (20 მან.), ათასი—თვრამეტი თუმანი (180 მან.); ფული დაკვეთისათანავე. მისამართი: Гори Тквіави, Николаю З. Кецховели.

დაკვეთა შეიძლება აგრეთვე ტფილისში **„ქართლი“**-ს მაღაზიაში.

ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციაში იყიდება:

„მოსავლის“ ნომრები 1909, 1910, 1911, 1912 და 1913 წლებისა.

მთელი კომპლექტი უყდოდ 1909 წლისა ღირს	1 მ. 50 კ.
დანარჩენი წლებისა	2 „ — „
დაკაზმული: 1909 წლისა	2 „ — „
დანარჩენი წლებისა	2 „ 50 „

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში (ტფილისი, ბარიატინსკაია, 5) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში წიგნი კ. პ. კანდელაკისა:

ახმარიშთა და საქმეთა წარმოება წვრილ კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებაში

ფასი 1 მან.—ვინც 20 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 25%.

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა, 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან: ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ ჟურნალი „მოსავალი“ უფასოდ გაეგზავნებათ

თეთრი აკაცია

ეს მცენარე დიდი ხანი არ არის, რაც ევროპაში გადმოიტანეს ამერიკიდან, და ამ ცოტა ხანში ძალიან გამრავლდა ყველგან. ევროპაში და აზიაშიაც ამ მცენარეს ძალიან ბევრი სარგებლობა მოაქვს კაცისათვის, რისთვისაც ასე ხშირად ამრავლებენ მას. აკაცია მშვენიერია, როგორც ცოცხალი ღობე ბაღ-ვენახებში, სულ სამ-ოთხ წელიწადში იძლევა მშვენიერ ჭიგოს და ბოძებსა. მისი გამრავლებით შეგვიძლიან კარგად დავიფაროთ ნიადვარისაგან ბაღი-ვენახი. აკაცია მშვენიერია სადურგლო საქმეში; ის ძალიან მაგარია და ლამაზი ფერისა, მას ამრავლებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს ბაღებში და ეზოებში მათ დასამშვენებლად და ამასთან ფუტკრებისათვის საუკეთესო ღალა იცის.

აკაცია ძალიან ადვილი გასამრავლებელია. ამისათვის სთესავენ აკაციის თესლსა და ერთ წლის ბაყილოებს გადარგავენ ხოლმე როგორც ვაზსა, სწორეთ იმ სიშორეზედ, ისევე რიგზედ. ამისათვის სრულებით საჭირო არაა მიწის გადაბრუნება, საკმარისია მარტო მისი მოხვნა; აკაცია იმდენათ ცოცხალი მცენარეა და ადვილათ ხარობს, რომ ძალიან იშვიათად გახმება გადარგული, გინდა ძირებიც ძალიან დაზიანებული ჰქონდეს, ოღონდ კი ეტყობოდეს ძირებს დასაწყისი: აკაცია ყველანაირ ნიადაგზედა ხარობს და საზოგადოთ რგავენ იქ, რომელ ადგილსაც ჩვენ სხვაფრივ ვერ გამოვიყენებდით. ჩვენ გვაინტერესებს აკაცია ნამეტნავათ როგორც ჭიგოს და ბოძების მომცემი მცენარე.

ყველამ ვიცით, რომ ჭიგოს შოვნა თანდათან ძნელდება ვენახებისათვის, დაძვირდა და ზოგან სულ აღარ იშოვება და თუ გამოიწერთ მოტანით ათასი უკანასკნელი 60 მანათი დაჯდება. ამიტომ ეხლანდელი მევენახენი ცდილობენ ვენახები სულ მავთულზე გააშენონ, რაც უფრო გაცილებით იაფი ჯდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მავთულებს გაჭიმვაზედ ხომ კარგი ბოძები უნდა, თუმცა იმდენი არა, მაგრამ დესეტინაზედ ასეთი ბოძები დაგვჭირდება უკანასკნელი 800—1000 ცალი, რომლებიც, თუ ვიყიდით მუხისას, ჯდება თითო ორი აბაზი—ათი შაური, ე. ი. დესეტინაზედ დასჭირდება დაახლოვებით 400 მანათის მსხვილი ბოძები და ცოტათი წვრილი შუაში ჩასატანებელი ჭიგოები, 200 მანათისა; როდესაც საბოძეთ სჭირიათ აკაცია, მას ერთ საჟენზედ რგავენ ხოლმე კვადრატიულ წესზედა და თუ ჭიგოებათ, მაშინ საკმარისია არშინ ნახევარზე დარგვა. რამდენიც ბოძები მსხვილი სურთ, იმდენათ უფრო დიდრონს ზრდიან ხოლმე აკაციას და სჭრიან ასე 8 წლისას და ზოგჯერ მეტისაც; ჭიგოსთვის კი მთლად საკმარისია 3—4 წელიწადი და ამ დროს მას უკვე ერთი

Кн. Дзоз. Кн. Дзоз. Грузу-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერშოკის სისქე აქვს ხოლმე და კარგათ გამოდგება საჭიგოთ.

აკაციას, როგორც ვსთქვით, თესლით ამრავლებენ ყველგან. აკაცია ძალიან ადრე ჰყვავის, უკვე სამი-ოთხი წლის შემდეგ და ისხამს აუარებელ თესლსა, რომელიც ლობიო-მაგვარ პარკებშია ჩამალული; მას ჰკრეფავენ ხოლმე და სთესავენ შემოდგომაზედვე კარგათ დამზადებულ კვლებში რიგ-რიგათ, არც ისრე ძალიან ხშირად, რომ ამოსულმა მცენარეებმა ერთმანეთი დაჩაგრონ; დაახლოვებით თესლები ერთმანეთისაგან უნდა ჩაეყაროს ასე ერთ ვერშოკის მანძილზედ და იმდენი მიწა უნდა მიეყაროს, რა სისქეც აქვს თითონ თესლსა და არა მეტი. თუ გაზაფხულზედ ამოსული აკაცია ძალიან ხშირათ არის, სჯობიან გავათხელოთ, რომ უფრო კარგათ გაიზარდოს. რგავენ ხოლმე, როგორც ვთქვით, რიგზედ, რადგანაც ეს ძალიან აადვილებს შემუშავებას. გადაწყვეტილ მანძილზედ გაბავენ ხოლმე თოკსა და რგავს ორი კაცი; ერთი წინ მიდის და ბარით აკეთებს პატარა ორმოებს, რომ აკაციის ძირები კარგათ ჩეეტიოს; მეორე მისდევს უკან და რგავს. ეს ისრე ჩქარა ხდება, რომ ორი კაცი დღეში ათასს დარგავს. ამის შემდეგ, სადაც მშრალი ადგილია, იქ რწყავენ ხოლმე ზაფხულში ორჯერ-სამჯერ და ყოველ შემოდგომაზედ მაკრატლით აჭრიან ქვევიდგან ტოტებს, რომ ჭიგო გაიზარდოს სწორე და უკეთესი. რასაკვირველია ბევრი ტოტები არ უნდა აეჭრას ძალიან, რომ ზემოთაც საკმარისი დარჩეს. აკაცია, როგორც ვთქვით, ძალიან მალე იზრდება და თანაც ამით თავის მშვენიერ სიკეთეს, გამძლეობას, სიმაგრეს არა ჰკარგავს. აკაცია თავისუფლად გაზდილი თუ არ მოვჭერით, იზრდება 8 საჟენამდე, ყოველ წელიწადს, ყვავის მაისში, იძლევა აუარებელ თესლსა და ფუტკრებისათვისაც მშვენიერ ღალას.

აკაციამ დიდი ეკლები იცის ჰტყელი და ამიტომ ძალიან ხშირად მას გლედიჩასთან ერთათ ამრავლებენ ცოცხალ ღობეთა. ღობეში შეიძლება მისი გაკრეჭა, რომ ძალიან მაღლა არ წავიდეს და გაიფურჩქნოს, გადაბას ტოტები ერთმანეთსა; აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ღობეებისათვის თეთრ აკაციას სჯობიან გაცილებით ყვითელი აკაცია, რომელიც ყვითლათ ყვავის, რადგანაც იგი უფრო ბუჩქნარია და მაღალი იზრდება, მაგრამ თეთრ აკაციაზედ კი გაცილებით ნაზია და უფრო მეტ სითბოსა და კარგ ნიადაგს თხოულობს. განჯის გუბერნიაში ნემენცებში და დნეპრის ნაპირებზედაც, იქაც ნემენცებში, ას-ასი დესეტინობლივ შეხვდება კაცი ასეთ აკაციების პლანტაციებს და ვინც არ იცის ასეთი კარგი თვისება აკაციისა, კიდეც გაუკვირდება ასეთი მისი გამრავლება.

დ. გორთამაშვილი.

შინაურ ფრინველების ავადმყოფობა და მისი წამლობა

შარშან რუსულ სამეურნეო ჟურნალში დავბეჭდე წერილი ფრინველების ავადმყოფობის შესახებ და ვამტკიცებდი, თუ რა დიდ ზიანს აძლევს ფრინველების ჭირი სოფ. კასპის მცხოვრებლებს და ახლო-მახლო მდებარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებს, აგრეთვე ქსნის ხეობის მცხოვრებლებს. ფრინველების ავადმყოფობის გამოსარკვევად შარშან წინ გიორგობისთვეში თბილისის ფრინველთა საზოგადოებამ გამოგზავნა სოფ. კასპში თავისი ინსტრუქტორი ბ. ტრაფიმოვი, რომელმაც ჩვენთან ერთად დაიარა მთელი სოფელი. სოფლის დედაკაცებმა დაწვრილებით აუხსნეს ბ. ტრაფიმოვს ფრინველების ავადმყოფობის ნიშნები. ბ. ტრაფიმოვმა ფრინველების ავადმყოფობა ხოლერად იცნო, თანაც გამოუცხადა დედაკაცებს, ხოლერის წინააღმდეგი წამალი არ იპოვებაო, და თუ მოიპოვება, ისიც ძალიან ძვირად დაგიჯდებათო. მხოლოდ ყველას გამოუცხადა, რაც შეიძლება საქათმეები სუფთად შეინახეთო, დრო გამოშვებით დეზინფექცია მოახდინეთო. სოფლის დედაკაცებს არ უამათ ბ. ტრაფიმოვის ესეთი დარიგება; ისინი ელოდნენ იმისთანა საშუალებას, რომ აღარ დახოცილიყვნენ მათი ფრინველები.

ასეა თუ ისე, დღევანდლამდისინ თბილისის ფრინველთა საზოგადოებამ ვერ მიაგნო ფრინველების ავადმყოფობის საწინააღმდეგო წამალს, ხოლო სენი დღესაც მუსრს ადენს დანარჩენ ფრინველებს. ზედ მიწევნით გამოანგარიშებული მაქვს ასე: შარშანწინ ს. კასპში ათას ორასამდისინ ფრთა იმსხვერპლა ამ ჭირმა: ქათამი, ბატი, იხვი. შარშან გაზაფხულზე დედაკაცებმა ხელახლა დასვეს კრუხები: ბევრმა გამოჩეკა, ბევრიც ზედ ბუდეზედ მოკვდა კრუხი. გამოჩეკილი წიწილები დიდი გაჭირვებით გაზარდეს, შემოდგომაზედ ისევ მოედო ჭირი: იმავ წელიწადს გაუწყვიტა რვა ასამდისინ ფრთა. გლეხის დედაკაცები დარჩნენ ისევ უფრინველოთ. ისევ ხელ ახლად დასვეს კრუხები, ისევ უშედეგოთ ჩაიარა მათმა შრომამ. ასე რომ დღეს ვერ ნახამთ იმისთანა ოჯახს, რომ ვისმეს ჰყვანდეს ეზოში ორიოდე ფრთა ფრინველი.

შარშან შემოდგომაზე მე დამეხოცა სამიოდე ქათამი, იმის გამო მინდოდა სულ ერთიანად დამეხოცა და გამეკეთებინა შაშხი, მაგრამ ვერ გავიმეტე დახოცვა, რადგანაც სოფელ ადგილს უფრინველოდ არ შეუძლიან კაცს გამოჩნდეს სტუმართან ან კიდევ ცოლ-შვილის გამოკვება, რადგანაც სოფლათ ძალიან იშვიათათ ხოცამენ საკლავს.

ამის გამო დანარჩენ ფრინველების გადასარჩენად ჭირისაგან მე ვიხმარე ესეთი საშუალება: რადგანაც ავადმყოფ ფრინველს უპირველესად აძლევს დიდ სიცხეს, ამისათვის ჯერ მივეცი წყალში გახსნილი ხინა: თითო ქათამს თითო ჩაის კოვზი. საჭმელად ვაძლევდი სიმინდს გოგირდში არეულს სიმინდი უნდა დაასველოთ წყალში, მერე აურიოთ გოგირდში. საღამობით ყველას ვასმევდი თითო ჩაის კოვზს ნავთს. სასმელ წყალში ერთ ვედრაზედ ვასხამდი რვა წვეთს მარილის სიმჟავეს. ესე გავიმეორე ერთ კვირამდისინ. რაც შეეხება საქათმის გასუფთავებას, ყოველ დღე ვგვიდით, დღე გამოშვებით ვასხურებდი კარბოლკას, კვირაში ერთხელ უხრჩოლებდი გოგირდს და კვირაში ორჯელაც საქათმეში გავფენდი ხოლმე კირს. ამ წესით წამლობამ მომცა ის შედეგი, რომ ის ფრინველები, რომლებიც ძალიან მორეული იყვნენ სატკივრისაგან, წამლის მიცემისთანავე ხუთ წამის შემდეგ აცვდებოდნენ, ვერ

Коллекция Кал. Дзагоева Тбилиси

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანდნენ წამალს; რომლებსაც ძალიან არა ჰქონდათ მორეული სატკივარი, ისინი სულ ერთიანად გადარჩნენ. მას აქეთ ხუთი თვე სრულდება და ჯერ-ჯეროობით ავადმყოფობის ნიშნები აღარ ჩანს.

ფრინველი ყოველთვის იხოცება ხოლმე შემოდგომით, გიორგობისთვეში და ზამთრობით, ქრისტეშობისთვეში და ისნვარში, ისიც ღამ-ღამეობით. ყველა ავადმყოფ ფრინველს ერთი ორად უსივდება ნაღველა და ღვიძლი. ამ უკანასკნელს აყრია ხოლმე ფეტვის მარცვლის ტოლა მოყვითალო მარცვლები. რადგანაც გლეხები დახოცილ ფრინველებს არ მარხავენ მიწაში და ჰყრიან ვენახებში, ქუჩებში და წყლის ნაპირებზედ, ამისათვის გლეხის ღორებიც მისდევენ სინიტარების როლის ასრულებას, სადაც ნახამენ დახოცილ ფრინველებს, სულ ერთიანად ასუფთავებენ და ჭამის შემდეგ თითონაც იხოცებიან. დახოცილ ღორებს ძაღლები სჭამენ და თითონაც იხოცებიან, თითქმის ყოველ წელიწადს ფრინველთან ერთად იხოცებიან ღორები და ძაღლებიც. კარგი იქნება ყველა დაინტერესებულმა პირებმა სცადონ ჩემ მიერ ნაცადი საშუალება და თავ ანთი გამოცდილება გვაცნობონ ქართულ სამეურნეო ჟურნალის „მოსავალის“ შემწეობით, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანენ ფრინველთა მომშენებელ პირებს.

არჩ. დარეჯანაშვილი.

ნაცად საქმიანობიდან

მანეულის საჭიროება სოფლის მეურნეობაში.

ერთს რომელსამე დარგის განვითარებას მეურნეობაში მოსდევს მის დამხმარე დარგების განვითარება, გამრავლება: ბაღების გამრავლებას მოსდევს სხვათა შორის გამრავლება მანეულებისა, რომლისაგანაც იწვნის პატარა ხახალ-კალათებიდან ვიდრე დიდრონ გოდრებამდის და კულუნა-სკივრებამდის. გაქვს ბოსტანი და ხილის ბაღი, უსათუოდ გესაჭიროება ჭურჭელი და ყველაზე საჭირო ჭურჭელი კი მრავალ ნაირი კალათები და გოდრებია: მაგალითათ, მარწყვის, ბლის, ალუბლის, გუნგრუშის, თუთის, ჟოლის, მაყვლის და სხვა მრავალთა მსგავსთათვის მსუბუქი კალათებია საჭირო, მსხლის, ვაშლის და მსგავსთათვის სხვანაირი კალათებია საჭირო. ამათ შესაძენათ ქალაქის ბაზრებში დავდივართ და ამ უკანასკნელ დროს ზღაპრულ ფასებში ვყიდულობთ მეკალათე კრუებისგან; მაგალითად, მე ბევრი ძებნის შემდეგ ვიყიდე ორი კალათი ვაშლისა და მსხლის საჭიროებისთვის სამ მანათად, თითოში ფუთი ხილი ჩადიოდა, უბრალო გაულოპრავ ტირიფის წნელისა იყო და თუ გალოპრილ წნელისას იყიდი, ის ერთი ორად მეტათა ღირს.

ჩვენ სოფლებში კალათების წვნა ყველა ჩვენებურმა მწყემსმა იცის, და თუ მას საქონელი წვრიმალაში დაუდის, რასაც განგებ მკათათვის დამლევიდან სჩადის, უსათუოდ საკალათე წნელს სჭრის და იქვე სწნავს კალათებს, სხვა და სხვა საადვილო საწნავ სახისას, რასაც ხალისით ორ შაურიდან ექვს შაურამდის ფასად მოგყიდით. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ტყეები თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათან შორდება სოფლებს და წვრიმალნიც ახოებად და სათეს მინდვრებად კეთდება, ამასობაში ბოსტნები და ხილის ბაღები მრავლდება და კალათების საჭიროება ჩნდება.

ამიტომ უნდა ყოველმა მეურნემ ერთი პატარა კუთხე გამოსძებნოს საკალათე მანეულების გასამრავლებლათ. მანეულს უყვარს სველი ჭანჭრობი ადგილი, რადგან მას ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ ჩვენში საზოგადოდ მანეულებს რგავენ სარწყავ რუების ნაპირებზე. ხშირად შეხვდებით, რომ შუა ვენახში გაყვანილ სარყწავ რუის ნაპირებზე მანეულებია ჩარიგებული, საიდანაც ვენახის შესაყელად საჭირო მანეულს არჩევენ. მე არ ურჩევ, რომ მანეული ამ გვარათ დარგონ, რადგან მანეულის ფესვმა შორს იცის წასვლა და მის სიახლოვეს მდგომ ვაზებს და ხეხილს საზრდოს ართმევს: ამას ყველა მეურნე შეამჩნევს. ამიტომ საჭიროა მანეულს ცალკე ადგილი მიუჩინოთ, რომელსაც უფრო ადვილათ მოუვლით. მანეული არა საჭიროობს რამე განსაკუთრებულ თვისების ნიადაგს. ჩვენში მას შეხვდებით შავ მიწაზედაც მშვენივრად მოზარდს, თიხნარზედაც, ლამზედაც, ქვიშნარზედაც და რიყიანზედაც, ოღონდ კი წყალი უხვათ ჰქონდეს, და მიწა, ზეადაგი იბარებოდეს და იჩერკნებოდეს. და თუ მეტად ფიტია, მიწა პატივდებოდეს.

ვისაც ჭაობიან-ჭანჭრობიანი ადგილი აქვს, ეს ხომ მანეულის გასახარელი ადგილია, და ველურად ამნაირ ადგილებში ჩინებულად ხარობს. ამნაირი ადგილების გამოსაშრობათაც მანეული ჩინებული საშუალებაა, რადგან როგორც ვთქვით, ბევრი წყალი სჭირდება, თუ ცოტა ხერხიანათ მოექცა კაცი, ხერხიანად დარგო.

მისი გამრავლებაც მეტად ადვილია. მანეულს რომ დასჩეხავთ, დასჭრით მის ყლორტებს, რანაირი სიმსხოც უნდა იყოს, ორი-სამი მტკავლის სიგრძეზე. მერე სამანეულე გადაბარულ მიწაში ჩაარჭობთ მწკრივზე ორ-ორ არშინის სიშორეზე, ისე რომ ღრმათ ჩაჯდეს მიწაში და ზეზე ერთი ან ორი გოჯი დარჩეს, მერე ზევიდგან მსუბუქათ ფხვიერ მიწას მოაყრით, ამერიკულ ნამყენ ვაზივით და ეგ არის. საჭიროების დაგვარათ მორწყავთ, თუ მიწა მშრალია, ორჯელ წელიწადში გასჩერკნით ანუ გათოხნით და მესამე წელიწადს უკვე მანეულის ჭალა გექნებათ საჭირო კალათებ-გოდრებ, ხახალ-ლასტების დასაწნავათ. პირველ წელიწადს მოგცემთ მცირე რამე მანეულს, რომლებსაც მეორე გაზაფხულზე ძირში დასჭრით ვაზის სასხლავ მაკრატლით, მეორე წელიწიდს მომეტებულს და ისე შემდგომ წლებში.

მანეული მრავალწლოვანი მცენარეა და მის დაბერებას კაცი სამჯერ ძლივს მოესწრება. მან უხვი ყვიორი იცის, ბევრს მოვლას არა საჭიროებს. რაკი დავაჟკაცდება, ორ წელიწადში ერთხელ უნდა დაბაროთ და ერთხელ დაჩერკნოთ, ესეც ბევრია. წყალი უხვათ უნდა. თუ მიწა მძლავრია, ყლორტები მეტად მსხვილი იცის, რომელიც აგრე რიგათ კალათებს არ ესაჭიროება, მითი სასიმინდე ძარები და ხვირები იწვნის. ამიტომ ესეთი მოზარდი მანეული უნდა დაკოდოთ გაზაფხულის დამდეგს (სად როდის ითვლება გაზაფხული, ეგ იქაურ ჰავაზე ჰკიდია), რომ ნაკოდ ქვემოდ გამოყრილი წყერტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარდნენ და გრძელი ძუის მსგავსი მანეული გამოისხან, გადასჩეხავთ გვიან შემოდგომაზე, გადაარჩევთ ხარისხებათ და შეინახავთ ნოტიო ალაგას, თუ მაშინვე არა გჭირდებათ მოსახმარად. ჩვენში ინახვენ ცარიელა ქვევრებში და ორმოებში.

მანეულის ჯიში მრავალია. ტირიფიც მანეულის ჯიშია, ისიც კარგია საკალათედ, წნელად; მდგნარიც ძალიან კარგია, გრძელ წნელს იძლევა; თეთრი ნერგიც კაი რბილ წნელს იძლევა. ჩვენში აქამდისინ გახშირებული იყო წითელი მანეული, მაგრამ ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადს გაამრავლეს ყვითელი მანეული, რომელიც ყველა ზემო ჩამოთვლილ მანეულის ჯიშებს სჯობიან როგორც გრძელ და წვრილ წნელების მოსხმით, ეგრეთვე მათი სილბოლი და სიმრავლით. ეს ჯიში ფრიად გავრცელებულია სოფელ ტყვიავში და მის მიდამო სოფლებში. ოქვენ უეჭველია გენახვებათ მშვენიერი თეთრი დაწნული სკივრებ-ყუთები, ეს სულ ყვითელი მანეულისა არის, მხოლოდ გალოპრილი, ქერქ გამძვრალი.

ქერქის გაძრობა სულ ადვილია.—თუ ლოპო აქვს, თავისით, ესე იგი ერთი ხელის გასმით სძვრება კანი, და თუ ლოპო არ აქვს, მაშინ მანეულს ჩააწყობთ გრძელ ჟესტის ყავრის სახდელ ქვაბში ანუ სხვა დიდ ქვაბში, დაასხავთ წყალს, ერთ წამოადუღებთ და მეტი არ უნდა, ისე გასძვრება ერთი ხელის გასმით კანი, როგორც გაფუფქულ ქათამს ბუმბული. მერე ააწყობთ კონაკონად, შეჰკრავთ და სუფთად შეინახავთ მშრალ ადგილს ან მზეზე შეაშრობთ, რომ არ დაობდეს და ფერი არ დაჰკარგოს. შემდგომ, როცა გინდათ დასწნათ რამე, წყალში დაალბობთ და ისე მოიხმართ.

მეურნე.

უმთავრესი ნაკლი ქართლის ბაღებისა

სადაც კი გაივლით, ჩვენებურ ბაღებში ყველგან გამოცდილი თვალი ერთ დიდ ნაკლს შეამჩნევს, ეს გახლავთ მეტის მეტათ ახლო დარგვა ერთმანეთიდგან ხეებისა. ასეთ დიდ ნაკლულევანებას ვერ ასცილებიან არამც თუ გლეხობა, თვით იმათი მეზობელი თავადაზნაურობაც. შედეგი ასეთი ახლო-ახლო დარგვისა ძალიან მწარეა ხოლმე. მცენარენი, ასე ახლოს დარგულნი და გადახლართულნი ერთმანეთში, ძალიან სჩაგრავენ ერთმანეთს; მათ არა ჰყოფნით სინათლე მზისა — ეს აუცილებელი მათთვის საგანი; არა ჰყოფნით აგრეთვე საკვებავი მასალა მიწიდგან; რამდენიმე წლის შემდეგ ხეები იმდენათ იზრდებიან, რომ ტოტებს ადგილი აღარ აქვთ, რომ თავისუფლათ გაიშალნენ, იხლართებიან ერთმანეთში, სჩაგრავენ ერთმანეთს. ამ სივიწროვის გამო ჩნდება მათ შუა აუარებელი ხეხილის მტერი მწერები და ავადმყოფობანი.

ხეებს შუა არამც თუ საკმარისია ოროლი საჟენი, როგორც ჩვენში რგავენ, საჭიროა უეჭველათ ოთხი საჟენი. საზოგადოთ ხეხილს იმდენი მანძილი უნდა ჰქონდეს ერთმანეთს შუა, რამოდენაც თითონ ხეს აქვს ყველა თავისი დიდი ტოტები, როდესაც იგი მთლათ გაიზრდება. არის ისეთი ჯიშები, ვეებერთელა ტოტებით, რომლებისათვისაც 4 საჟენიც კი ცოტა არის, მაგალითათ: კანადის რენეტი, ჩვენებური ჯიშები: კიტრა და აბელაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჩვენებური მებაღე იმით იმართლებს თავს, რომ მიწა ძვირია და თუ ხშირათ არ დავრგევით, მაშ რაღა მოვიგოთო. ეს დიდი შეცდომა არის, რადგანაც უფრო ხშირათ კარგი მოსავალი ხეების რაოდენობაზედ არ არის დამოკიდებული, და პატარა და კარგი მოვლილი ბაღი უფრო მეტს მოსავალს იძლევა, სანამ დიდი და ცუდათ მოვლილი.

სადაც ასე ხშირათ არა რგავენ ხეებს, იქ ხეხილებს შუა თავისუფალს ადგილს სრულებითაც არა აცდენენ, და ამნაირათ დამუშავებული ბაღი ხომ გაცილებით მეტს იძლევა და ხეებიც ჯანსაღათ იზრდებიან. ხეებს შუა თავისუფალი ადგილი ბევრნაირათ შეიძლება მებაღემ გამოიყენოს; აქ ჩაურგამენ ხოლმე ნაგალა, ე. ი. პატარა ჯანის ხეხილს, რომლებიც მალე ბერდებიან, სწორედ იმ დროს, როდესაც მთავარი მოზარდი ხეები კარგათ გაიზრდებიან და დაისხამენ. ამნაირათ ისინი ერთმანეთს არას დაუშლიან, ასეთ ნაგლებს ვეძახით ვაშლს ნამყენსა ხომანდულზედ, ან სამოთხის ვაშლზედ, მსხალზედ, კომშზედ, ან კუნელაზედ და ზღმარტლზედა.

ამ ნაგალა ხეხილებს გარდა შეიძლება კიდევ დაირგას პატარა ტანის ხეხილი, რომლებიც აგრეთვე მალე ისხამენ და მალევე ბერდებიან, მაგალითათ ატამი, ქერამი, კინკრიხო, ბჟოლი, მარწყვი და ყველანაირი ბოსტნეულობაც, გარდა სიმინდის ან სარის ლობიოსი, რომლებიც თავის სიმაღლით დასჩრდილავენ ნამყენებსა და გააფუჭებენ. როდესაც ხეები კარგათ წამოიზრდებიან, მაშინ სიმინდიც შეიძლება დაითესოს შორი ახლო. ასეთი ბაღჩები ბაღებში ხშირათ ერთ-ორ წელიწადს აანაზღაურებენ ხოლმე ბაღზედ დანახარჯ ფულსა. ბოსტნათ გადაქცეული ბაღი ძალიან მოიგებს, რადგანაც ხეებს ქვეშ მუდამ გასუფთავებული და გაფხვიერებული ნიადაგი იქნება, მხოლოთ თუ ბოსტანი ხშირათ და ძალიან ირწყვება, ბოლო! ასეთი ბოსტანი ავნებს. რომელ ბაღშიაც ბოსტანია, იქ აშკარაა, რომ გაპატივება ბაღსაც ხშირათ უნდა და თანაც კვლები ან ბოსტნის მცენარენი არ უნდა იყოს ხეების ძირებთან ახლო, რადგანაც ბოსტნეულობაც გაფუჭდება ჩრდილში და თითონ ხეც დასუსტდება.

იმ ადგილას, სადაც ბევრი წვიმები იცის და ნიადაგი მდიდარია სინესტითა, შეიძლება ბაღში საქონლის საკვებავი ბალახების თესვაც, მაგალითათ სამყურიისა, იონჯასი და სხვა.

ჩვენში კი, თბილისის გუბერნიაში, უნდა ვერიდოთ ბალახების თესვასა, რადგანაც ჩვენი ნიადაგი ღარიბია სინესტით და ბალახის თესვით კი უფრო გამოიფიტება იგი და ხეხილს ძალიან დაასუსტებს; რასაც გინდა ვთესავდეთ, ან ვრგავდეთ, მაინც ხეებს ძირებს ქვეშ კარგათ, განივრათ უქველათ სუფთა გადაბარული უნდა იყოს.

ნაგალა ხეხილის დარგვა დიდ ხეებს შუა ძალიან სარფაა. ისინი მესამემეოთხე წლიდგან უკვე იწყობენ კარგათ სხმასა და როდესაც დიდი ხეები წამოიზრდებიან და დაიწყობენ სხმასა, ესენი უკვე ბერდებიან და უთმობენ მათ ადგილს. ერთ დესეტინაზედ 150 ხეზედ მეტი არ უნდა დაირგას ვაშლი ან მსხალი, ამათ შუა კიდევ დაეტევა ნაგალა ხეხილი სამჯერ მეტი, ე. ი. 450 ცალი; თუ ვიანგარიშებთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო ხე სამი-ოთხი წლის შემდეგ მოგვცემს 15 გირვანქა საუკეთესო ხილსა, ფუთი 1 მ. 50 კაპეიკათ, მაშინ სანამ დიდი ხეები დაისხამდნენ, ნაგლები ყოველ წელს მოგვცემენ 20 თუმანსა, რაც აანაზღაურებს ბაღზედ დანახარჯსა და მის მოვლასა. ნაგლებიდგან საუკეთესო ხარისხის ხილი ჩამოდის მუდამ.

დ. გორთამაშვილი.

ცოტა რამ მეფუტკრის დღიურიდან

1913 წელი ბევრით მაზარალებელი და უსარგებლო გამოდგა მეფუტკრეობისათვის. სამაგიეროდ 1914 წელმა აანაზღაურა წინა წლის დანაკლისიც. როგორც გავიგე რამდენიმე მეფუტკრისაგან, ძალიან ემადლიერებიან 1914 წელს. ჩემი მხრით კი შემიძლიან დაუმატო, რომ თუმც არც ისეთი წელიწადი იყო, როგორც ზოგიერთებმა გააზვიადეს, მაგრამ 1913 წელი მაინც მთლად დაჩრდილა 1914 წელმა.

იანვარი იმისთანა მშვენიერება რამ იყო, რომ თხილი და შვინდიც კი ააყვავა და 9 იანვრიდან რამდენსამე სკაში კვერცხის დება იწყეს.

იანვარს არც თებერვალმა მოსტეხა მხარი და თითქმის იანვრის გაგრძელება იყო. იქამდის მოიხელა თავი თებერვალმა, რომ ელვა-ქუხილიც კი დაგვაძლევინა, სკებში ხომ გახურებული ბარტყობა იყო და ზოგან კიდეც გამოიმღერეს.

მარტმა, როგორც ჩვეული არის, თავისი არ დაიშალა, მაგრამ გვიანლა იყო. მის მოკლე სუსხებს სკები საკმარისად ძლიერები დახვდნენ და იგი ვერაფერს ჩამორჩა, მით უმეტეს, რომ აპრილი მეტად მშვენიერი ამინდებით გვესტუმრა. საფუტკრე უმშვენიერესი რამ სანახავი იყო; დღე-და-ღამ გუგუნი იდგა. მაისმა ძალიან იკოჭლა, მაგრამ მაინც თავისი სიმშვენიერე მთლად არ დაუკარგავს.

მას მოჰყვა თიბათვე, მკათათვე და მარიამობისთვე.

ეი სწორედ ამ სამმა თვემ გამოიჩინა გულუხვობა და ღალიანობა. ეს თვეები იყვნენ აღების თვეები. შესანიშნავად გავიდნენ ეს თვეები. ამ ხნის განმავლობაში ორ დღეში ერთხელ წამოსწვიმავდა და უფრო ხშირად ღამ-ღამობით. მეორე დილით დანამულ ყვავილებიდან უთენებლივ ეზიდებოდნენ სავსე ჩიჩახვებით ნექტარს. ძნელია იმისთანა შეწყობილი ამინდი დადგეს კიდევ, როგორც ეს სამი თვე იყო მეფუტკრისათვის.

ენკენისთვემაც პირნათლად გაიარა, მაგრამ ღვინობისთვემ და გიორგობისთვემ კი მთლად ჩააშხამა მთელი ბოლო წლის სიტკბო. მომაბეზრებელმა თოვლჭყაპმა და სიცივეებმა ბევრი თაფლი დაახარჯვინეს.

ქრისტეშობისთვემ ცოტად გამოაკეთა 1914 წელი.

ევგ. დალაქიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრის თაგვთან ბრძოლა

მინდვრად თაგვის გამრავლება მუდამ დიდს განსაცდელს უქადის ხოლმე სოფლის მეურნეთ. ამიტომ საჭიროა მხნე ბრძოლა მის წინააღმდეგ. საუკეთესო საშუალებად ამხანად მიჩნეულია თაგვებში გავრცელება გადამდები სენისა—**თაგვების სახადისა.** ამისათვის რომელიმე საიმედო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიიდან უნდა გამოიწეროთ **თაგვების სახადის ბაცილები.**

ყველაზე ხშირად ხმარობენ. ბულიონში (წვენში) მოშენებულ ბაცილებით სითხესა.

ბაცილების დედას ფქვილში აურევთ, ისე რომ დადგეს ცომად; ამისათვის უნდა აიღოთ ორი წილი ფქვილი (წონით) და ერთი წილი ბაცილების დედა; დაგროვებულ ფქვილში შუაგულში პატარას ამოაღრმავებთ და შიგ ჩაასხამთ ბაცილების დედას; რომ ადამიანის სუნი არ ჩაჰყვეს ცომსა, შიგ უნდა მიუმატოთ რამდენიმე წვეთი ანისული წყლისა ან ზეთისა.

ამ ცომს მუშებს დაურიგებთ; მინდორში მუშა თავის წილ ხაშიდან მოგლეჯს თხილისოდენა ნაჭერს და ჩააგდებს შიგ სოროში ან მათ მახლობლად დააგდებს; მოწამლვა უმჯობესია, რომ საღამო ჟამს სწარმოებდეს, როცა თაგვები საჭმლის საძებნელად გამოდიან; თუ მოწამლვის ერთის დღის წინ თაგვების სოროებს მიწით ამოავსებთ (თოხით), კარგს იზავთ, რადგან მაშინ წამალს დაუგდებთ ახლად პირახსნილ სოროსთან, სადაც თაგვი ნამდვილად ბუდობს; მოწამლულ სოროს მიწით ამოვსება საჭირო არ არის.

ძნების ან ბულულების მოსაწამლად, საჭიროა შიგ გულში ჩააგდოთ მწკვრივად ისეთის ვარაუდით, რომ თვითეულ კვადრატიულ არშინზე ერთი ნაჭერი მოდიოდეს; თუ მოწამლავთ სახლში, ბეღელში, მარანში ან სხვა შენობებში, მაშინ ეს ვარაუდი უნდა გასწიოთ იატაკის სივრცის დაგვარად.

ამ მოწამლულ ნაჭრებს თაგვები შეეჭცევიან, ავადა ხდებიან და ბოლოს იხოცებიან; დახოცილ ამხანაგების გვამებს (თუ ლეშს) თაგვები სჭამენ, ისე რომ ავადმყოფობა ამგვარადაც ვრცელდება.

ავადმყოფობა გაძლიერდება მეშვიდე დღეზე (დაახლოვებით), თაგვების გვამების ნახვა მიწის ზედაპირზე ძნელია.

თაგვების მოსასპობად (მეტადრე თუ ძალიან არიან გამრავლებულნი) მოწამლვა კიდევ უნდა გამეორდეს ორჯელ ან სამჯერ იმავე ადგილას.

თაგვების სახადი (ტიფი) ადამიანისა და შინაურ ცხოველებისათვის მავნებელი არ არის.

სახლებში მობინადრე თაგვების გაწყვეტა ამ საშუალებით იმითია კარგი, რომ დასნეულებული თაგვები სტოვებენ შენობას და გარბიან. ისე რომ სახლში დახოცილ თაგვების გვამების სუნისა ნუ შეგეშინდებათ.

რათა მოწამლვამ შესაფერი ზედმოქმედება იქონიოს, საჭიროა შემდეგი აუცილებელი პირობების ასრულება.

1) უნდა იხმაროთ მუდამ ახალი მომზადებული დედა (მომზადებული უნდა

იყოს ლაბარატორიაში არა უგვიანეს ორის კვირისა).

2) მიღებული დედა (თაგვების ჭირისა) უნდა ინახებოდეს ბნელ და გრილ ადგილას.

3) ჭურჭელი, სადაც დედა ინახება, უნდა გახსნათ მხოლოდ ხმარების წინ.

4) დედა ხმარების წინ უნდა კარგად ააჰანჭყაროთ.

5) მოწამლვა უნდა სწარმოებდეს კარგს დარში, გაზაფხულზე, როცა მიწა გაშრება და შემოდგომაზე პურის აღების შემდეგ. მოწამლვა წვიმიან ან ყინვიან დღეში არ ვარგა.

თვითვეულ ას (100) სოროს სჭირდება 100—120 კუბიკური სანტიმეტრი დედა და 1/2 გირ. პური.

წამლობა მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, თუ თქვენი მეზობელიც უწამლებს, თორემ შესაძლებელია თაგვების გადმოსახლება მოუწამლავ ბინებიდან.

„Хозяйство“ № 50, 1914 г.

საერობო აგრონომების მოქმედება გორის მაზრაში

საერობო ხარჯიდან (1914 წლიდან) გადადებულია თანხა აგრონომიულ მუშაობის მოსაწყობად ტფილისის ყველა მაზრებში. ამ ხარჯით მოწვეულ აგრონომებს დაერქვათ საერობო აგრონომები, თუმცა ჩვენში არც ერობაა ჯერ და არც იმისი ჩანასახი.—გორის მაზრაში ხსენებულ ხარჯით მოწვეულია წარსულ წლიდან ორი აგრონომი და ერთი ინსტრუქტორი. ჩვენ დანიშვნამდე ქართლში უკვე მუშაობდა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აგრონომი. რათა ერთმანეთისთვის ხელი არ შეგვეშალა, მთელი გორის მაზრა დავყავით რაიონებად,—გომის და ხაშურის რაიონი აიღო ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აგრონომმა, ერთ საერობო აგრონომს ერგო გორის რაიონი (მტკვრის მარჯვენა მხარე ქსანიდან ქარელამდე, ტირიფონის ველი და გორის ახლო მიდამოები), მეორე საერობო აგრონომს კიდევ ცხინვალის რაიონი, მეხილეობის ინსტრუქტორს მიენდო ლიახვის ხეობა.

ჩვენ დანიშვნასთანვე ერთად საერობო ხარჯით შეძენილ იქმნა ყოველივე საჭირო სამეურნეო მანქანები, რომლებიც მოვათავსეთ ქ. გორში და სოფ. საქაშეთში. ჯერჯერობით შევიძინეთ 4 საკკის გუთანი (dios), ორი სათესი მანქანა ელვორტისა, სიმინდის საცეხვები, ორი ჰეიდის ტრიერი № 2, სიმინდის სარეში, თეფშებიანი და ზიგზაგის ფარცხები, ვერმორელის აპარატები და სხვა.—მომეტებულ შემთხვევაში ეს იარაღები გლეხებს ეძლევათ სახმარებლად უფასოდ, გარდა ტრიერისა (1 ფუთ გაწმენდილ პურზე ვიღებთ თითო კაპეიკს).

ამ წელს სამეურნეო იარაღის საწყობები გვექნება: ქ. გორში, სოფ. საქაშეთში, სოფ. მეჯვრისხევში, მეტეხში, ცხინვალში, ტყვიავში და ქვემო ჭალაში. ამ საწყობებისთვის გადადებულია ყოველ წლივ 5,000 მან.

პირველ წელიწადს მომეტებული დრო რაიონის გაცნობაში წაგვივიდა, თუმცა სადაც კი ხერხდებოდა პრაქტიკულ მუშაობასაც ვეწევდით. უმთავრესი ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ყურადღება მიქცეული იყო საცდელ და საჩვენებელ მინდვრებისკენ,—ყველამ ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში მაგალითს. რადგან გაზაფხულის პურის დათესვას ველარ მოვესწარით, დავთესეთ მხოლოდ სიმინდი ელვორტის მანქანით და ვამუშავეთ მათოხი შემდეგ სოფლებში: საქაშეთში, კარალეთში, თორტიზაში, მეჯვრისხევში და ვარიანში. საცდელი მინდორი გვქონდა გამართული ს. ტიტვინიძის მამულში სოფ. საქაშეთში. გამოვცადეთ მწვანე სასუქები და ხელოვნური პატივი. მწვანე სასუქად ვიხმარეთ შემდეგი ბალახები: მუხუდო, ლურჯი ლიუპინი, ავსტრიელი მოგარა, გრეჩიხა და იონჯა. ჩახნული ბალახები აყვავების დროს, როგორც ვიცით, ამდიდრებენ ნიადაგს აზოტით (თუ მეტადრე ბალახები papilionaceae-ს ოჯახს ეკუთვნიან). თუ რამდენად ხელსაყრელია მწვანე სასუქების ხმარება საქაშეთის რაიონში, გამოჩნდება მხოლოდ წლეულს, როცა შევადარებთ პურის მოსავალს მწვანე სასუქით გაპატივებულ და გაუპატივებელ ადგილზე მოსულს.

ხელოვნური სასუქი გამოვცადეთ იმავ ტიტვინიძის მამულში: გავაპატივეთ ორი წლის ვაშლის ნამყენები სუპერფოსფატით (ათი ფუთი ფოსფორის სიმჟავე დესეტინაზე) და ჩილის გვარჯილათი (ათი ფუთი გვარჯილა დესეტინაზე). სუპერფოსფატის გავლენა შეეტყო ბაღს შარშანვე, რაც გამოიხატა ხეხილის შესამჩნევ ზრდაში და თამამ ყლორტების გამოტანაში.

ქვემო-ხვედურეთში საჩვენებელი მინდორი გვაქვს ბ. ი. ციციშვილის მამულში. დათესილია 6 დღიური პური ელვორტის სათესი მანქანით; მიწა მოხნულია საკკის გუთნით და დაფარცხულია თეფშებიანი ფარცხით. სათესლე პური გადავარჩიეთ ჩვენ ტრიერზე.

საზოგადოდ ჩვენი მანქანები ვამუშავეთ შემდეგ სოფლებში: რუისში, ქვემო და ზემო ხვედურეთში, საქაშეთში, ფხვენისში, სკრაში, ხიდისთავში, გორში, უფლისციხეში, რეხაში, ხელთუბანში, თორტიზაში, ზეგულეთში, კარალეთში, მეჯვრისხევში, ახრისში და ჯარიაშენში.—დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა გლეხებისა ტრიერმა (პურის გამრჩევი მანქანაა) და მართლაც 3 თვეში 5,600 ფუთი პური გავარჩიეთ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში. აგრეთვე დიდი სამსახური გაუწია თეფშიანმა ფარცხებმა და საკის გუთნებმა. საუბედუროდ სამეურნეო იარაღის სიმცირე ძალიან აფერხებდა ჩვენს მოქმედებას.

ყოველ სოფელში თითქმის ვმართავდით გლეხებთან საუბარს ამა თუ იმ სამეურნეო საგანზე და აგრეთვე ვარიგებდით ჩვენ გამოცემულს წიგნაკებს (სიმინდი და მისი მოვლა, მწკრივად სათესი მანქანა, ხეხილის მავნე მწერნი და მათთან ბრძოლა და სხვა).

ამ იანვრიდან შეძლება მოგვეცა ბუნდოვანი სურათებიც ვაჩვენოთ სოფლელებს და შესაფერი ლექციები გავმართოთ. ამ ომმა დიდ გასაჭირში ჩააგდო ჩვენი სოფელი და აგრონომიული დახმარება, რომელსაც ჩვენ ვაწვდით სოფელს, არა კმარა: ბევრ გლეხის ოჯახს გაზაფხულზე მოელის შიმშილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საჭიროა ამ გასაჭირის გამოკვლევა და დაუყოვნებლივი დახმარება. ამისოვის კი გორის მაზრის აგრონომიულს პერსონალს არ შესწევს საკმარისი ძალა და დრო.

ი. ქურდიანი

კოოპერატივების ცხოვრებიდან

სოფ. დიდიენაგეთი, ტფილისის მაზრა. ამ წლის 27 იანვარს მოხდა საზოგადო კრება დიდენაგეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა ბ. ინსპექტორის დ. ყ. ჩხეიძის თანადასწრებით. ამხანაგობა დაარსებულია მღვდლის პლატონ ხუროშვილის თაოსნობით 8 ოქტომბრიდგან 1913 წ.

ამ ხნის განმავლობაში ამხანაგობას ჰქონია აღებული გძელვადიანი სესხი 2000 მან., მოკლევადიანი სესხით უსარგებლნია 18000 მან., საამხანაგო წილის ფული ყოფილა 2042 მან. 2 კაპ., საკუთარი ძირითადი თანხა წმინდა მოგებიდგან შემდგარი შეადგენს 343 მან., ხოლო სათადარიგო და განსაკუთრებულს თანხას 419 მან. 69 კაპ. ამხანაგობაში ირიცხება 468 წევრი.

მასწავლებელ ქალის ქ. ნინა ოქროპირიძის წინადადებით კრებამ დაადგინა მიეცეს 30 მან. ტფილისში დამწვარ ქართულ თეატრის შენობის ასაგებად. კრებამ აგრეთვე დაადგინა გადაიდოს წმინდა მოგებიდგან 28 მან. 18 კაპ. ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ და 30 მან. ოსმალეთის სომხეთიდგან გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

ამხანაგობა დიდს ეკონომიურს სიკეთეს წარმოადგენს სოფლებისთვის, განსაკუთრებით წლევანდელს მძიმე წელიწადში. იმავე ხუროშვილის თაოსნობით აქ შესდგა ორი ამხანაგობა, რომელმაც შეიძინა საკუთრებად საგლეხო ბანკისგან 1000 დესეტინაზედ მეტი მამული და გუდამაყრიდგან გადმოცვივნული უმიწაწყლო მთიულები დასახლდნენ ძველ ქართველთა ნასოფლარებში, შეიქმნენ მესაკუთრეები და გაახმაურეს ქართული ენით ალგეთის ხეობა. მღვდელს ამ საქმეში მხარი დაუჭირა დიდად პატივცემულმა ბანკის განყოფილების წევრმა ბ-მა რატუშჩენკომ.

კრება დიდად მადლობელი დარჩა ბ. ინსპეკტორს, რომელმაც ყველაფერი გასაგები ენით დაწვრილებით და მშვენივრად აუხსნა თავმოყრილს გლეხკაცობას.

ამხანაგი.

ეროვნიკა

კალათების დაწვნის ვარჯიშობით შესწავლა. ეს რამოდენიმე წელიწადია თბილისში მოაწყვეს კალათების დაწვნის ვარჯიშობით შესწავლა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც სოფლის მასწავლებლები როგორც ვაჟები, ისე ქალები დაიარებიან და ამ ხელობას სწავლობენ, რომელთაც როცა შეისწავლიან, სოფელში დაბრუნებისას უნდა შეასწავლონ კალათების წვნა სოფლის მოსაზრდ ბავშვებს. მაგრამ რამდენადაც ვიცით, ამ მასწავლებლებს არავის არ შეუსწავლებია ბავშვებისთვის კალათების წვნა, გარდა სოფელ ქვემო ხვითის მასწავლებელ ქალისა, რომელიც უკვე აწვნევინებს მანეულის წნელის კალათებს. სასურველია, რომ სხვებმაც მიჰბაძონ ამ მშრომელ ქალს და რაც შეიძლება ჩქარა შეასწავლონ მანეულის მოხმარება. მით უმეტეს, რომ კალათების წვნა არაფერს საძნელოს არ წარმოადგენს და ბრმებიც კი სწვნენ მშვენიერ კალათებს და ძვირფასად ჰყიდიან.

მეურნე.

მინდვრის თაგვი. ქართულ ს-სამ. საზოგადოების აგრონომი ე. ვ. კარბელაშვილი ქართლიდან ატყობინებს საზოგადოების საბჭოს: „ზემო გომის რაიონში, ოსიაურისა, ვაყისა, სატივისა, წრომისა და სხვა სოფლების მინდვრებზე მრავლად გაჩნდა თაგვი, რომელიც დიდს საფრთხეს უქადის მეურნეებს, თუ საჭირო ზომები არ იქნება მიღებული“.

ივრის ხეობიდან გვატყობინებენ: „ჩვენებურ მინდვრებში შარშანდელიდან დარჩა აუარებელი თაგვი. თბილისმა ზამთარმა შეუწყო ხელი მის გამრავლებას და თუ არა უშველეთ-რა, წელსაც ისე პირწმინდად მოსჭამს ჩვენებურ ყანებს, როგორც შარშან. ჯერ შარშანდელმა მოუსავლობამ ძალზე შეაწუხა ჩვენებური ხალხი და თუ წელსაც არ მოგვივა მოსავალი, ხალხი სულ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდება“.

სამეგრელო. ზუგდიდიდან ბ-ნი ი. ახალაია გვატყობინებს: „საერთოდ წარსული 1914 წელი სწორედ უკულმართი წელიწადი იყო და მით უმეტეს ჩვენი მეურნეობისათვის. ჯერ მუდმივმა წვიმებმა და წყალდიდობამ მთლად გაანადგურა ჩვენი ყანები და კარზე მოგვადგა უწყალო სიმშილი; მას მოჰყვა ომი და სოფლებიდან გაიწვიეს საუკეთესო საიმედო შრომის შვილები და სოფლის ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

აგერ გაზაფხული კარზე მოგვადგა, ყანების დამუშავებაზე-კი არავინ ცდილობს. ჩვენში ყანები ადრე რო მუშავდებოდეს, სიმშილის შიში აღარ გვექნებოდა. დროა ნასწავლმა და გამოცდილმა მეურნეებმა ურჩიონ სოფლის მეურნეებს, რომ ადრე მიჰყონ ხელი ყანების დამუშავებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა მომავალ 1915 წლისათვის.

სამეურნეო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე. „მოსავალი“ წელიწადი მეშვიდე.

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალი ღირს ფელიფადში 2 მან.

მისამართი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში

ტფილისი, ბარიათინსკის ქუჩა, № 5, იყიდება შემდეგი წიგნები:

1. **კ. პ. კანდელაკი.** „ანგარიშთა და საქმეთა წარმოება წვრილი მან. კ. კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებაში“ ფასი..... 1— „
2. **ა. კახელაძე.** „როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება“. ..... „—10
3. **გულბაათიშვილი.** „ინჯა და სხვა საკვებავი ბალახები“..... „—20
4. **ნახუცრიშვილი.** „კართოფილი“ ..... „— 5
5. **ვ. ი. რცხილაძე.** „ქიმია როსკოსი“ ..... „—30
6. — „ — „მცენარენი და ცხოველნი“ ..... „—40
7. **ნ. ტარატინოვი.** „ბამბის თესვა-მოყვანა“ (ნათარგმნი)..... „— 5
8. **ბ ს. მ. ჩოლაყაშვილი.** ფილოქსერა და მასთან ბრძოლა .. ... „—30
9. **მ. შ—ელი.** სასუქის მნიშვნელობა ხეხილებისათვის, ფასი..... „—20

წესდებები

1. მომხმარებელი საზოგადოებისა რუსულს ენაზე..... „—20
2. დარიგება რუსულს ენაზე..... „—20
3. მომხმარებელი საზოგადოების წესდება ქართულად .. .. „— 5
4. ადგილობრივი სასოფ.-სამ. საზოგადოებათა წესდება ..... „— 5
5. წვრილი სას.-სამ. ამხანაგობათა წესდება ..... „— 5
6. მერძევეთა ამხანაგობის ხელშეკრულობა ..... „— 3
7. მერძევეთა ამხ. ხელშეკრულობა რუსულად..... „—10

იყიდება აგრედვე საანგარიშო დავთრები მომხმარებელ საზოგადოებათათვის ქართულს ენაზე

1. შემოსავალ-გასავლის დავთარი 100 გვერდი ..... 2—50
2. საქონლის დავთარი 100 გვერდი..... 2— „
3. წევრთა დავთარი 100 გვერდი.. . ... 2— „
4. დღიური ნავაჭრის დავთარი 100 გვერდი . ..... 2— „
5. ქონებათა დავთარი 100 გვერდი..... 2— „

ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქართ. ამ—სა. რედაქტორი ვ. ი. რცხილაძე.